თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2256633

ნომერი: AR1346588

თარიღი : 02.10.2015

გაცემის თარიღი : 23.10.2015

გაცნობის თარიღი : 23.10.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის , (ნაკვეთი 09/033) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ამირან წკრიალაშვილი პ/ნ 59001031338
- გორი რ.სტურუას ქ. N 18

ორგანიზაცია:
- პროდიუს ინვესტ კოდი: 417882496

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/04/2015წ. N1818583 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 02/10/2015წ. AR1346588 განაცხადით მომართა ამირან წკრიალაშვილმა და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 03/04/2015წ. N1818583 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 03/04/2015წ. N1818583 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, დიდი დიღომი, მიკრო/რაიონი I და ფარნავაზ მეფის გამზირს შორის, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.10.06.009.045), მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, 26/02/2015წ. N1755153 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში, ტექნიკური შეცდომის გამო, არასწორად დაფიქსირდა მაჩვენებლები, რის გამოც, წარმოდგენილი განაცხადით, მოთხოვნილია გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 03/04/2015წ. N1818583 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 5131.22, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 696.71, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1458.13, დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 72.96, აუზის ფართობი (კვ.მ).: 278.95.

სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შესწორებული მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან. ამასთან, მაჩვენებლების შეცვლის შედეგად, საერთო ფართობი შეადგენს: 9156.44 კვ.მ.–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/04/2015წ. N1818583 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 5131.22, საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 696.71, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 1458.13, დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 72.96, აუზის ფართობი (კვ.მ).: 278.95, საერთო ფართობი (კვ.მ).: 9156.44, სხვა მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი.

2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 03/04/2015წ. N1818583 ბრძანებასთან ერთად.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.